წელიწადი მეორე. № 19. 18 მაისი 1878 წ.

**ხელის-მოწერა:**

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, ზიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენებზედ.

**«ივერიის» ფასი**

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . . . . . . . « 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

# საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**გამოდის ხუთშაბათობით**

**საძიებელი:** I. საქართველოს მატიანე: ერთი დღე გახის საკვირაო შკოლაში (ივერ. კორ.).—II. საპოლიტიკო მიმოხილვა.—III. წლევანდელ სათიბელზე.—IV. საქართველოს პირველი მეფე ფარნაოზი (შემდეგი).—V. სასამართლოს მატიანე. ზასულიჩის ქალის საქმე (შემდეგი) — VI სისხლის მოჩვენებაზედ. (დასასრული).—VII განცხადებანი.

## საქართველოს მატიანე

ორშაბათს, 15 მაისს, ტფილისის საზაფხულო თეატრში ერთხელ კიდევ გაიმართა ქართული წარმოდგენა *) და მით ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა თუ რა მტკიცე მოთხოვნილებას და სურვილს დააკმაყოფილებდა ჩვენში სამუდამოდ დაარსებული და მკვიდრად მოწყობილი ქართული თეატრი. ამ უკანასკნელ წარმოდგენასაც მრავალი მაყურებელი დაესწრა. რაც შეეხება თვით თამაშობას, ამის შესახებ თავი გამოიჩინეს იმავე პირთ, რომელთაც კვლავაც მიუზიდნიათ საზოგადოების ყურადღება. დანარჩენნი სუსტნი იყვნენ, და საკვირველიც არ არის. ამ ჟამად, როდესაც, ქართული ტრუპპა მკვიდრად არ არის მოწყობილი, ერთსა და იმავე პირთაგან არ არის შემდგარი; როდესაც დღეს ერთი გამოდის სცენაზედ, ხვალ მეორე, შეუძლებელია რომ ყოველმა მომქმედმა პირმა დახელოვნებული თამაშობა გამოიჩინოს. მხოლოდ ის ადგენს კარგად, რომელიც სცენას და თამაშობას ცოტად თუ ბევრად მიჩვეულია. ნიჭსაც, რა საკვირველია, ვრცელი ადგილი უჭირავს ამ საქმეში: ამას ლაპარაკი არ უნდა; ყოველ საქმეში ასეა. მაგრამ აგრეთვე ყოველ საქმეს სჭირია სწავლა, გარჯიშობა, წვრთნა. ამიტომ სასურველია, რომ ქართულის სცენის მოყვარეთა წრე ერთისა და იმავე პირთაგან იყოს შემდგარი. უამისოდ ქართულს წარმოდგენაზედ კრიტიკა (ნამდვილის მნიშვნელობით ხმარებული) შეუძლებელია.

---

სამშაბათს, 16 მაისს შეიკრიბა გამგებელი კომიტეტი „ტფილის გუბერნიისთავად-აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. კომიტეტმა ყველაზედ უწინარეს გარდასწყვიტა მოიყვანოს ცნობაში თუ რამდენი ფული აქვს ან ექმნება ამ ჟამად „საზოგადოებას“ და ამისათვის მოიწვიოს „საზოგადოების“ წევრნი, რათა შემოიტანონ დროზედ საწევრო ფული და აგრეთვე ცნობაში მოიყვანოს თუ ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილმამულო ბანკს რამდენი ფული შეუძლიან შესწიროს წლეულ ამა «საზოგადოებას». კომიტეტმა ხაზინადრად ამოირჩია უფ. გ. თულაშვილი, (ტფილისის ოლქის სასამართლოში) რომელსაც უნდა მიჰმართოს ვისაც ჰსურს „საზოგადოების“ წევრად ჩაირიცხოს და ყოველგვარი შეწირვა შემოიტანოს. გარდა ამისა მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ აგრეთვე სეკრეტარს ნ. ქანანოვს („ივერიის“ რედაქციაში) და კომიტეტის თვითოეულს წევრს: თ. დ. ავალოვს (თავად-აზნაურთა ბანკში) ლ. მაღალაშვილს, დ. ერისთავს, ი. გოგებაშვილს ნ. ცხვედაძეს.

---

*) წარმოადგინეს ანტონოვის კომედია „ტკბილი მოგზაურობა ლიტერატორთა“, და მოლიერის კომედია „ძალით ცოლის შერთვევრება.

## ერთი დღე კახის საკვირაო შკოლაში

(„ივერიის“ კორრესპონდენცია)

ჩემი ნანა ეს არი, შვილო, მას უერთგულე.
რაც მე სიტყვით გითხარი, შენ საქმით აღმისრულე

მკითხველს არ დაავიწყდებოდა ის ღირს-სახსოვარი მოვლენა ჩვენ კახელების ცხოვრებაში, რომელიც მოხდა 20 ნოემბერს 1877 წელსა. მე მოგახსენებთ კახის საკვირაო შკოლის დაარსებაზე. როგორ მოხდა ეს საქმე და რა განზრახვისათვის, ამაზედ ხომ წინად იყო საჯაროდ გამოცხადებული. დღეს კი ნება მომეცით გარდმოგცეთ ერთი ის შთაბეჭდილება, რომელიც მე გამოვიტანე ამას წინად ამ საკვირაო შკოლის გაკვეთილებზე დასწრებით.

პირდაპირ მასწავლებლის ოთახიდამ შავდივართ ერთ კარგა მოზდილ ოთახში, სუფთათ და გემოიანათ მოწყობილში! შესვლისთანავე თქვენ ჰგრძნობთ, რომ ამ ჟამათ თქვენ შახვედით ადამიანის არა უბრალო საცხოვრებელში. ყველაზედ უწინარეს თქვენს ყურადღებას უნებურად იპყრობს 16 რიგზედ ახალგაზდა, რომელთაც წვერ ულვაში ეს არის უბიბინდებათ! შესვლისათანავე, ახალგაზდანი, როგორც მოგეხსენებათ, სალამს გაძლევენ, ადგომით და თავის დაკვრით. მშვენიერი სანახავია ამდვენი გლეხების ნასწავლ ახალგაზდების ერთად თავის მოყრა! მშვენიერია უფრო მაშინ, როდესაც მასწავლებლის სიტყვით ისინი სხდებიან და იწყობენ გაკვეთილს, ანუ უკეთ ვსთქვა, საუბარს დანიშნულ საგნებზე. თითქმის სამ საათზე მეტი გაგრძელდა საუბარი მასწავლებლებისა ამ ახალგაზდებთან. აქ იყო კითხვაც, გეოგრაფიული ცნობების გარდაცემაც, კანონების შესწავლაც და საკვირაო სახარების ახსნაც. როგორ მიდიოდა კითხვა, გეოგრაფიულის ცნობების გარდაცემა და საკვირაო სახარების ახსნა, ამაზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც ეს ყველას მოეხსენება. მაგრამ კანონების გაკვეთილზე კი მივაქცევ მკითხველის ყურადღებას: დღევანდელი კანონების გაკვეთილი იყო პრაკტიკული. კანონების მასწავლებელმა უფ. ა. ბოდუსლავსკიმ მოისურვა თვით საქმით აჩვენოს ახალგაზდებს ყოველ გვარი საქმის გარჩევა; ამიტომაც წინადადება მისცა ახალგაზდებს ამოერჩიათ თავიანთ შორის მამასახლისი და სუდიები. აქ უფ. ბოდუსლავსკიმ ჯერ გაამეორებინა მათ ყოველი ის, რაც კი კანონშია დაწერილი მამასახლისის და სუდიების არჩევანზე, ე. ი. ვინ უნდა ამოარჩიოს მამასახლისად, როგორ უნდა სოფლის ყრილობამ ამოირჩიოს მამასახლისი (კენჭის უმეტესობით და დახურული კენჭის ყრით), სოფლის საზოგადოების რომელ წევრთ არ შეუძლიანთ ამორჩეულ იქმნენ მამასახლისად და სხვ.—ახალგაზდებმაც, მართლაც ხმის უმეტესობით და საიდუმლო კენჭის ყრით ამოირჩიეს ბესარიონ ხუციშვილი. შემდეგ აგრეთვე ამოირჩიეს სუდიები. აქაც ვიდრე დაიწყობდნენ სუდიების ამორჩევას, მათ გაიმეორეს ყველაფერი ის, რაც კანონი ამბობს შესახებ სოფლის სუდიებისა, ე. ი. რიცხვით რამდენნი უნდა იყვნენ ამორჩეულნი (კენტი), რა მიზეზით აგრე და სხვა....

შემდეგ ამისა დასხდნენ სუდიები წინა სტოლზე; მამასახლისი კი დაჯდა განზე იმის ნიშნათ, რომ მას ნება არა აქვს გაერიოს სუდიების საქმეში. შემდეგ ამისა გამოვიდა ერთი მოჩივარი (ახალგაზდებთაგანივე) და იწყო: «უფალნო სუდიებო! დღეს ორი დღე არის, რაც მე ერთი კამბეჩი მომპარეს ღამით გომურიდამ და იმ მოპარვას მე პირდაპირ პეტრე კულოშვილს გაბრალებ» გამოიწვევენ პეტრე ყულოშვილსა. ერთის სიტყვით გაიმართა ნამდვილი საჩივარი, ერთი ჩივის, მეორე იცავს თავს. ბოლოს შეადგინეს, განჩინებაც და საქმეც გათავდა. აქ ბოდუსლავსკიმ აჩვენა როგორ უნდა შეადგინონ ხოლმე განჩინება. ეგრე იყო გარჩეული ზოგიერთი სხვა საჩივრებიც, რომ ახალგაზდებმა კარგათ გაიცნონ სამართლის საქმე.

ამ კვირა დღესვე ამ გაკვეთილზე დაესწრო ერთი უცხო ნასწავლი და განათლებული პირიც, რომელიც განცვიფრებაში მოვიდა ამათის ცოდნით: ეგეები მე თვითონაც არ ვიცოდი, გიმნაზიელებმა, სემინარიელებმა და საოსტატო შკოლებში ნასწავლებმაც არ იციანო და სხვა... განა თუ მართალი არ არის ეს!? ნუ თუ სულ ეგრე უმეცრებაში ვიქმნებით ჩაფლულნი ამ მხრით და ამ უსაჭიროეს ცოდნასაც არ შევისწავლით? მაგრამ საიდამ? შკოლებში ამაებს არსად არ ასწავლიან. მაშ რა ვუყოთ, როგორ ვუშველოთ ამ

საქმეს? აქ ჯერ-ჯერობით, მგონია, მხოლოდ ერთად ერთი საშუალება დაგვრჩენია: ყველა სამაზრო ქალაქებში არსებობენ სამ-სამი სასწავლებლები თუ არა, ერთ-ერთი მაინცა. ნუ თუ სასარგებლო არ იქნება, რომ ამ შკოლიდამ გამოსულ ყმაწვილებმა იცოდნენ ის კანონები და უფლებანი თვისი, რომელნიც მათთვის ყოველ ნაბიჯზე საჭირო იქნება მომავალ ცხოვრებაში? რასაკვირველია სასარგებლო იქნება. მაშ თუ აგრეა, დაარსეთ ყველა სამაზრო ქალაქებში კახის საკვირაო შკოლის მსგავსი, საკვირაო შკოლები, მოიწვიეთ ერთი იქნება, თუ ორი კანონების მცოდნე პირი და დაიწყეთ საქმე. აქ ყველაზედ მეტი შემწეობა უნდა აღმოუჩინონ ამ შკოლებს მაზრების უფროსებმა, მიროვოი სუდებმა, პრისტავებმა, ადვოკატებმა, რომელთათვის ძალიან ძნელი არ იქნება, რომ კვირაში ერთხელ, ერთი-ორი საათი შესწირონ საზოგადო კეთილ საქმეს. ამ გვარად გამართულ საკვირაო შკოლებში, მგონია, ადვილად შესაძლო იქნება (და ბევრიც დათანხმდება), მოიწვიონ სხვა გარეშე პირებიც, კანონების და თვისის უფლებების შესასწავლებლათ.

ვანო.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

ამ ჟამად საქმის დაბოლოვება ომიანობით თუ მშვიდობიანობით დამოკიდებულია გრაფ შუვალოვზედ, და იმ მოლაპარაკებაზედ, რომელიც გამართული შუვალოვის (რუსეთის ელჩი ინგლისის წინაშე) მეოხებით ინგლისისა და რუსეთის შორის. გრაფი შუვალოვი ვითომ იმ განზრახვით იყო წასული პეტერბურღს, რომ პირად წარედგინა ხელმწიფე იმპერატორისათვის თუ რაში მდგომარეობს მოთხოვნილება ინგლისისა და რა გვარი დაბოლოვება სურს წამოყენებულის საქმისა. შუვალოვს წარუდგენია კიდეც ყველა ეს ხელმწიფე იმპერატორისათვის, რომელსაც თავის მხრით გაუგზავნია ინგლისისათვის თვისი პირობები. რაში მდგომარეობს ყველა ეს მოლაპარაკება, რასაკვირველია საიდუმლოა, რომლის გამოაშკარებას დღე-დღეზედ უნდა მოველოდნეთ. ტელეგრამმები კი გვაცნობებენ ვითომ ეს მოლაპარაკება იმ გვარიაო, რომ მშვიდობიანობას მოასწავებსო და შესაძლებელ ჰხდის კონგრესსაო. ღმერთმა ჰქნას.

თუ მართლა ასეა, მაშ სხვა სახელმწიფოთა შორის ურთი-ერთობას ეძლევა ცხოველი ინტერესი და მნიშვნელობა,—იმ ურთი-ერთობას, რომელიც ამ ბოლოს დროს ცოტად თუ ბევრად აშკარად მოჩანდა. აი თუნდ საფრანგეთისა და ინგლისის შორის ურთი-ერთობა. მათ შორის თანაგრძნობა უეჭველია. რესპუბლიკის დასის უმთავრესნი გაზეთები მტკიცედ იჭერენ ინგლისის პოლიტიკის მხარეს. ეს თანაგრძნობა გამოაშკარავდა აგრეთვე იმ სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა ინგლისის ტახტის მემკვიდრემ პარიჟში გამოფენის თაობაზედ და იმ ლაპარაკში, რომელიც ჰქონდა ამ მემკვიდრეს გამბეტასთან. ყველა ამ გარემოებამ ცხადათ გამოაშკარავა რომ, თუ ვინიცობაა არეულობა რამ მომხდარიყო ევროპაში, ინგლისი და საფრანგეთი ერთსა და იმავე მხარეს მიუდგებოდნენ. ღირსშესანიშნავი ის არის, რომ ამ შემთხვევაში ინგლისის მოწინავე პირნი (ლიბერალები), რომელნიც მთავრობის პოლიტიკას ეწინააღმდეგებიან, მითვე ეწინააღმდეგებიან აგრეთვე საფრანგეთის მოწინავე პირთ შესახებ, რასაკვირველია, გარეშე პოლიტიკისა; მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა და შინაგანის განვითარებისა და წარმატების შესახებ კი თითქმის ერთსა და იმავე აზრს ადგანან. აბა რა ერთობაა შესაძლებელი ვთქვათ გამბეტისა და ბიკონსფილდის შორის? იგინი განირჩევიან ერთი-ერთმანეთში, როგორც მაგალითებრ რესპუბლიკა და მონარხია, დემოკრატია და არისტოკრატია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ყოველს სახელმწიფოს ყველაზედ უწინარეს თავის თავისა ენაღვლება. ინგლისის მოწინავე პირთათვის აწინდელის მთავრობისა და მისის დასის განძლიერება სასურველი არ არის, რადგანაც იგი მავნებელია მათის სამშობლოის შინაგანის მოწყობილობისა და წარმატებისათვის. გარეგანი დიდება და განძლიერება მათთვის, თუ არის რამე, უკანასკნელი საქმეა. რაც შეეხება საფრანგეთის რესპუბლიკელთ—მათთვისაც, რასაკვირველია, ყველაზედ უწინარესი და უმაღლესი საქმე შინაგანი განვითარება და წარმატებაა, და თვით საქმითაც ამას ამტკიცებენ. მაგრამ საფრანგეთის მდგომარეობა, როგორც სარესპუბლიკო სახელმწიფოისა სრულიად სხვა არის, თუ მკითხველს ახსოვს, შარშან „ივერიაში" მოხსენებული თუ რა მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის რესპუბლიკას ევროპის სხვა სახელმწიფოთა შორის. საფრანგეთის რესპუბლიკას ბევრი მტერი ჰყავს შინაცა და გარედაც. მართა-

ლია შინაურს მტერზედ გაიმარჯვა, მაგრამ საჭიროა გარედგანაც მტკიცედ დადგეს. ამით თვით შინაური მტერიც უფრო მოდუნდება. საფრანგეთის რესპუბლიკისათვის მავნებელია მაგალითებრ გერმანიის გაძლიერება. მაშასადამე იგი იმ მხარეს უდგება, რომელიც გერმანიას ეწინააღმდეგება. (ჯერ-ჯერობით გერმანია რუსეთის მეგობრად ითვლება). რასაკვირველია, არც ინგლისის მოწინავე პირთათვის არის სასიამოვნო ვთქვათ გერმანიის გაძლიერება, რადგანაც კარგად იციან თუ რას მოასწავებს იგი ევროპისათვის, თავისუფლობისა და კეთილდღეობის წარმატებისათვის. მაგრამ რა ქნან თუ კი საკუთარის მთავრობის განძლიერებაც უკეთესს არაფერს არ უქადის? მათ კარგად იციან, რომ ამ ჟამად ომის მიზეზი მომეტებულად არის ხოლმე შურის ძიება, გარეგანის დიდებულობისა და ძლიერების სურვილი.

— ამას წინად ვიღასაც დამბაჩა უსროლია გერმანიის იმპერატორისათვის. ტყვია ასცილებია იმპერატორს. ჯერ-ჯერობით გამოჩენილა, რომ მსროლელი ყოფილა ოც-და-სამის წლის მუშა-კაცი, რომელიც ჯერაც არ გატეხილა თურმე და სულ იმას ამბობს—იმპერატორის მოკვლა სრულიად არ მინდოდაო, მე მხოლოდ მსურდა თავის მოკვლაო, რადგანაც ლუკმა-პური არა მქონდაო. ქუჩაში იმიტომ განვიზრახეო, რომ მინდოდა საზოგადოების ყურადღება მიმექცია ხალხის უბედურს მდგომარეობაზედაო.

---

## წლევანდელ საოფლეზე.

(ხალხის საკითხავათ შედგენილი ექიმის შმულევიჩის მიერ.)

აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც პეტერბურღში ზამთარში და განსაკუთრებით ზამთრის დამლევს და გაზაფხულის დამდეგს, სასნეულონი ივსებიან ხოლმე საოფლიან ავათმყოფებით. ამ ავათმყოფთა უმეტესი ნაწილი რჩება, მხოლოდ ათსა თუ ოცს ოჯახს აკლდება პატრონი, ათი თუ ოცი ობოლი ეთხოვება დედ-მამას! თუმცა ეს ამბავიც დიდად სამწუხაროა, მაგრამ ის კიდევ არ შეადგენს იმისთანა უბედურებას, რომ განსაკუთრებით აღელვოს საზოგადოება. ადამიანის უბედურებას, მადლობა ღმერთს, შევეჩვიეთ კაი ხანია! მაგრამ წლეულს ჩვენ ვხედავთ სულ სხვას: სასნეულონი სავსეა ავათმყოფებით, ეხლათ გახსნილი ლაზარეთები აგრეთვე. ავათ ხდება არა თუ ღარიბი ხალხი,—მდიდრებიც. შვიდ გახდა ავათ ბევრი ექიმი და სასნეულოში მოსამსახურენი; ეს უეჭველითურთ გვარწმუნებს ჩვენ, რომ წლევანდელი საოფლე სულ სხვანაირია,—შესაყარია, გადამდებია. წლეულს უფრო ცოტა უძლებს ხოლმე ამ სენს, ვინემ წინა წლებში. ამ ნაირივე არა—სანუგეშო ცნობები მოდის რუსეთის ყოველ კუთხიდამ, ყოველ ქალაქიდამ. მაშასადამე არ არის გასაკვირველი, რომ საზოგადოება აღელვა ამნაირმა ამბებმა და დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ გადირჩინონ თავი ამ საშინელის სენისაგან. რა არის მიზეზი, რომ საოფლე წელს გაძლიერდა? რა მიზეზია, რომ წელს განსაკუთრებით უფრო ბევრს ხალხს ხოცავს და იტაცებს უმრავლესს მსხვერპლს?

მიზეზი ის არის, რომ წლეულს ჩვენ გვაქვს საქმე არა—ჩვეულებრივ საოფლესთან, არამედ სენთან, რომელსაც სულ სხვა და უფრო მძიმე თვისება აქვს.

ამ ნაირი საოფლე, როგორიც არის წლეულს, ბევრათ უფრო სასტიკის და ავის თვისებისაა, ვინემ ჩვეულებრივი საოფლე, და იწოდება მეცნიერობაში ომიანობის საოფლეთ (ВОЕННЫЙ ТИФЪ). ეს სახელი დაერქვა მას იმის გამო, რომ იგი ჩნდება და ძლიერდება ხოლმე ყოველთვის ომიანობის დროს. ეჭვი არ არის, რომ ეს სენი ძველათაც ყოფილა ცნობილი, რომ მას უღუპავს სამხედრო ძალა 300—400 წლის წინეთ ქრისტეს შობისა. ჩვენამდინ მოღწეულ ხელნაწერებში ჩამოთვლილია სენები, რომელნიც გავრცელებულ იყვნენ იმ დროს ჯარის კაცებში, და აქედამ საკმაოდ მტკიცდება ის აზრი, რომ მაშინდელი სენი იყო იგივე, რასაც ჩვენ დღეს უწოდებთ „ომიანობის საოფლეს.“ პირველი საკმაოდ ვრცელი აღწერა ამ სენისა იყო მეთექვსმეტე საუკუნოში, 350 წელიწადია მას აქედ, რაც იგი გამოაჩნდა საფრანგეთის ჯარს, რომელიც იდგა იტალიის ერთ ქალაქ. ნეაპოლთან. 50 ათასი კაციდამ მაშინ მოკვდა 30 ათასი. იმ დროიდამ დაწყებული „ომიანობის საოფლე“ იყო ხშირათ აწერილი თითქმის ყოველ ომიანობის დროს. რუსეთში იყო ძლიერ გავრცელებული 150 წელიწადია მას აქედ, როდესაც რუსეთის ჯარები პოლშაში იყვნენ. განსაკუთრებითი ძალა გამოაჩინა ამ სენმა საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ I ომების დროს როცა იმ დიდის

ჯარის დანარჩენით, რომლითაც ის შამოესია რუსეთს მოსკოვიდამ უკან გაბრუნდა, ეს სენი გაიტანა, და მასთან, რასაკვირველია, სიკვდილი და მწუხარება მოჰფინა მთელს ევროპას. ერთს ნემეცის ქალაქში 30 ათას იქ მყოფ ჯარის-კაციდამ დარჩა მხოლოდ 13 ათასი კაცი. მეორე ქალაქში 26 ათას კაციდამ მოკვდა 14 ათასი; მესამე ქალაქში ამ სენმა მცხოვრებნი სულ ამოჰსწყვიტა.— იქ ამოსწყდა 20 ათასი კაცი. ეს სენი რუსეთსაც დაუტოვეს; ვილნოში 30 ათასი ტყვე ფრანციელი იყო და იმათგან მოკვდა 25 ათასი და მასთან კიდევ 8 ათასი იქაური მცხოვრებელთაგანი. ოჩიოლში 1813 წელს ფრანციელნი ათასობით იხოცებოდნენ და მათთან, რასაკვირველია, ადგილობრივი მცხოვრებლებიც. მერე, როდესაც 1815 წელს ჩამოვარდა ზავი მეომართა შორის, შესწყდა ეს საშინელი სენიც, და თუ კიდევ ხდებოდა ვინმე ავათ ამ სენითა, მხოლოთ შემთხვევით, და საზოგადოთ არც ისე სასტიკათ და უიმედოთ. ასე იყო ყირიმის ომამდის, როდესაც „ომიანობის საოფლე" კვლავ გამოჩნდა საშინელის ძალით. 1854 წელს ქრისტეშობის თვეში ის გამოახნდა როგორც ჩვენს ჯარს, აგრეთვე ინგლისელების და საფრანგეთის ჯარსაც. ინგლისელებს მოუკვდათ 3,075, ფრანციელებს 14,000 და რუსებს 17,000 კაცი. ყირიმის ომის შემდეგ სასტიკი საოფლე იყო ჩვენში 1869 წელს, მაგრამ ეს იყო ეგრეთ წოდებული „მშიერი საოფლე," რომელიც ბევრით, და სხვათა შორის გადაუდებლობით, განირჩევა „ომიანობის საოფლესაგან." ზემოთქმულიდამ ცხადია, რომ «ომიანობის საოფლე» წოდება სრულიად სამართლიანათ ეკუთვნის წლევანდელ საოფლეს.

წლევანდელი საოფლე ჩვენში მოტანილია ოსმალეთიდგან, ბრძოლის ველის ადგილებიდამ. ვიქონიოთ იმედი, რომ წლევანდელი სენი არ შეიმოსება იმ საშინელის ძალითა, რომლითაც ცნობილ არიან უწინდელის ომიანობის დროების სენნი. მაგრამ, მოგეხსენებათ, ნათქვამია: საიფრთხილეს თავი არ სტკივაო. ჩვენთვის საჭიროა კარგათ და ბეჯითად ვიფიქროთ მასზე, თუ როგორ ვუშველოთ ჩვენ თავს და მოუღოთ ბოლო ამ სენის გავრცელებას და გაძლიერებას. დრო კიდევ არ წასულა, მხოლოდ ახლა იწყება გაზაფხული. ეხლა დნება თოვლი და ძლიერდება მზის შუქი და, ამის გამოც, ეხლა შეიძლება საშინლათ გაძლიერდეს ეს სენიც. მაგრამ მოგეხსენებათ, უფრო მარჯვედ რომ ვებრძოლოთ რაიმე ბოროტებას, რიგი და წესია გარკვევით ვიცოდეთ მისი დამბადებელი მიზეზებიც. ამისათვის ჩვენთვის საჭიროა გავიცნოთ ის ნიადაგი, რომელზედაც იბადება, ვრცელდება და ძლიერდება ეს ავათმყოფობა. მაშინ, და მხოლოდ მაშინ, იმ ზომებს, რომელთაც ჩვენ მივიღებთ ჩვენდა დასაცველათ, ექმნებათ ძალა და მნიშვნელობა. მარტო ერთი ის გარემოება, რომ ეს ავათმყოფობა ვრცელდება ზამთარში და ომიანობის დროს, გვაჩვენებს მის თავ და თავს მიზეზს. ომიანობის დროს ჩვენ ვხედავთ, რომ დიდ ძალი ხალხი სცხოვრობს ერთად, ვიწროთ, ნამეტნავად ზამთარში, როდესაც ათობით და ოცობით იძულებულნი არიან შეიფარონ თავი სიცივისაგან რომელსამე ქოხში; ყველა იგინი ჰყლაპვენ მეტისმეტად გაფუჭებულს ჰაერს, რომელიც, რასაკვირველია, უმთავრესი მიზეზია ყოველგვარის სენისა, და განსაკუთრებით, საოფლისა. ჩვენ ვიცით, რომ მშვიდობიანობის დროსაც ავათმყოფობს განსაკუთრებით ის ხალხი, რომელიც მოკლებულია წმინდა ჰაერს და სცხოვრობს ერთად რამოდენიმე ოჯახობით, ვიწრო და ნოტიო სადგომში. ეს გარემოებანი ჰბადვენ უმთავრესს მიზეზს, რომელთაგანაც დამოკიდებულია ჰაერის უვარგისობა. განვიხილოთ კარგათ ეს მიზეზები.—

ყველას ესმის ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ჩვენ გარშემოზღუდული ვართ ჰაერით, რომ უმისოთ ჩვენ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ, როგორც თევზს უწყლოთ. ის ჩვენთვის ბევრათ უსაჭიროესია, ვინემ საჭმელ-სასმელი. კაცს შეუძლია იცხოვროს მთელი 8 დღე, უსაზრდოოდ უჰაეროთ კი ვერ გასძლებს ვერც ერთ წამს; სამყოფია დაიცოთ ცხვირი და პირი, რომ ერთის წამის განმავალობაში იგრძნოთ თავი ცუდათ. ვიკვებებით ჩვენ დღეში 2—3 ჯერ და ეგ გვყოფნის ხოლმე, ჰაერს კი ვყლაპავთ ოც ჯერ ერთს წუთში, მაგრამ ისე კი, რომ ჩვენც ვერ ვგრძნობთ ამასა. სხვა ცხოველიც ისე საჭიროებს ჰაერს, როგორც კაცი; უიმისოთ მათ არ შეუძლიათ ცხოვრება. იკითხავთ ეხლა, რათ არის ჰაერი აგრე საჭირო ჩვენთვის? რომ ჯეროვანი პასუხი მოგცეთ ამ კითხვაზე, მე იძულებული ვარ ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა მასზე, თუ რა არის წმინდა ჰაერი და რისგან შესდგება იგი?

ჰაერი არ შეგვიძლიანთ დაინახოთ თვალით ან შეეხოთ ხელით. ამ ნაირი სხეულები, რომელთა დანახვა ან

ხელით შეხება შეუძლებელია, ბევრია ქვეყანაზე; ამ გვარო სხეულთ გაზი ჰქვიან. მაგრამ ჰაერი შესდგება არა მარტო ერთის გაზისაგან, არამედ ორისაგან, და ერთი მათგანი ოთხ ჯერ მეტი ურევია ჰაერშია, ვინემ მეორე. აი, ის გაზი, რომელიც უფრო ცოტაა ჰაერში, არის ის ნაწილი ჰაერისა, რომელიც უფრო საჭიროა კაცისათვის და ცხოვრებისათვის. ამ გაზს უწოდებენ ოქსიგენათ, მჟავ-დედათ, (**КИСЛОРОДЪ**). თუ ჰაერში ცოტაა ეს გაზი, ან თუ იგი სულ არ არის მასში, ცხოველი ვერ გასძლებს ამ-ნაირ ჰაერში ვერც ერთ წამს. უფრო გასაგები რომ იყოს ჩვენთვის, თუ რისთვის არის ასე მიუცილებელი ჩვენის სხეულისათვის ეს გაზი, საჭიროა ვიცოდეთ აი რა: ადამიანის აგებულების გვება შეიძლება შევადაროთ, მაგალითად, თუ გინდ არაყის გამოხდის წარმოებას. მოგეხსენებათ, არაყის გამოსახდელათ საჭიროა ჭაჭა, წყალი და ცეცხლი. შეუკიდებთ ცეცხლს ჭაჭით სავსე ქვაბს, შეუმატებთ წყალს ჭაჭაში და აადუღებთ ჭაჭას. რასაკვირველია, თქვენ ადევნებთ ყურადღებას, რომ არ გაუნელდეს ცეცხლი, არ შემოაკლდეს წყალი და სხვა; ბოლოს გასწურავთ ჭაჭას და როგორც უვარგისს გადაჰყრით. ასეა, ბატონებო, კაცის აგებულებაც. მისთვის რომ მან იცხოვროს, საჭიროა მას ჰქონდეს საზრდო: საჭმელი და სასმელი. საჭიროა აგრეთვე, რომ უვარგისი ნაწილი განდევნილ იყოს კაცის აგებულებიდამ; არაყის გამოხდა შეუძლებელია უცეცხლოთ, ცეცხლის დანთება კი შეუძლებელია უჰაეროთ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უოქსიგენოთ. გაზი, სამთელი, ნავთი და შეშა მხოლოდ იმიტომ ენთება და იწვის, რომ ჰაერში არის ოქსიგენი. დაანთეთ ცეცხლი მისთანა ადგილს, სადაც ჰაერს არ ჰქონდეს მსვლელობა და ნახავთ, რომ ცეცხლი ჩაქრება. მაშასადამე ცეცხლისთვის საჭიროა ოქსიგენი; იგივე ოქსიგენი საჭიროა კაცისათვისაც: მასაც უცეცხლოთ, ანუ უკეთ ვსთქვათ, უსითბოთ არ შეუძლია ცხოვრება. მკვდარი კაცი ცივია, როგორც მის გარემემო საგნები; ცოცხალი კი უფრო თბილია, ვინემ მის გარემემო ჰაერი. აი, ამ სითბოზეა დამოკიდებული კაცის ჯანთმყოფობა და ჯანმრთელობა. ეს სითბო კაცს კარგათ მყოფობის დროს სულ თანასწორათ აქვს; თუ სითბო მოემატა ძლიერ, ეს ნიშნავს რომ კაცი ავათ არის და ამაზედ ვიტყვით ხოლმე: „სიცხე აქვსო." ამ სიცხემ თუ ძლიერ მოიმატა და გადააჭარბა დადებულ საზღვარს, ამბობენ კაცი უიმედოთ არის ავათ და მაშინ ძნელია მისი მორჩენა. აი სწორეთ ასე, როდესაც არაყის სახდელ ქვაბში მოგროვდება ბევრი ორთქლი და, მაშასადამე, მოიმატებს სიცხე, ქვაბი შეიძლება გასკდეს. ეხლა ცოტათი მაინც შეგვიძლიანთ მივხვდეთ, თუ რისთვის არის საჭირო ჩვენთვის ჰაერი, რომელშიაც ურევია ოქსიგენი, და რისთვის მავნებელია ჩვენთვის ჰაერი, რომელშიაც უფრო ცოტაა ეს გაზი.

აი, ამისათვის არის ხოლმე, რომ თუ რამოდენიმე კაცმა დაჰყო ბევრი ხანი პატარა ოთახში, სადაც არა აქვს მსვლელობა ახალ ჰაერს, ისინი ახმარებენ თავის თავის უმეტესს ნაწილს ოქსიგენისას და დანაშთენი ჰაერი ხდება ამის გამო ცუდათ და საწყენად ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ეს არის ერთი იმ მიზეზთაგანი, რომლის გამოც ფუჭდება ჰაერი ბევრის ხალხით გატენილ ოთახში. მაგრამ არიან კიდევ სხვა უაღრესი მიზეზები, რომელნიც საჭირო არიან მოვიხსენიოთ. მოგეხსენებათ, რომ ცეცხლს ასდის კვამლი. რადგანაც კაცის აგებულებაში მუშაობს იგივე სითბო, რაც, მაგალითად, შეშის წვის დროს, კაცის სხეულშიაც უნდა გროვდებოდეს კვამლი. ეს კვამლი კიდევაც გროვდება და არის ის გაზი, რომელსაც ჩვენ ამოვუშვებთ ხოლმე პირიდამ, როცა ამოვისუნთქავთ. მაგრამ ეს გაზი სულ სხვანაირია, ვინემ ოქსიგენი. ამ გაზს უწოდებენ ნახშირის სიმჟავეთ (**УГОЛЬНАЯ КИСЛОТА**). ეს გაზი ბლომათ იმყოფება უბრალო კვამლშიაც. გამოვდევნით ხოლმე აღმოსუნთქვით მას ჩვენის სხეულიდამ მისთვის რომ, ჩვენ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ, თუ ის ბლომათ მოგროვდა სისხლში და ჩვენი აგებულების სხვა ადგილებში, როგორც არ შეგვიძლია გავსძლოთ იმ კვამლში, რომელიც ამოდის ბუხრიდამ. რომ მოვაგროვოთ ეს გაზი (ნახშირის სიმჟავე) რომელსამე ჭურჭელში და ჩავსვათ შიგ რომელიმე სულიერი, ის იმ წამსვე მოკვდება. ეს გაზი არ ვარგა არც ცეცხლისთვის, რომელიც მასში მაშინათვე ჰქრება.

მაშასადამე, რადგანც ნახშირის სიმჟავით არ შეუძლია კაცს სუნთქვა, ამით აიხსნება ის გარემოება, თუ რისთვის ფუჭდება ჰაერი იმ ოთახში სადაც ბევრია ხალხი. ხალხი ამოსუნთქავს ხოლმე ბევრს ნახშირის სიმჟავეს, რომელიც გროვდება ოთახში და უგუბებს სულს ადამიანს.

მესამე ჰაერის გამაფუჭებელი მიზეზი არის ნახშირის სიმჟავის გარდა კიდევ სხვა მავნებელი ნივთი, რომელსაც ჩვენ ამოვისუნთქავთ ხოლმე ფილტვებიდამ.

ყველას შეგხვდენიათ უსათუოდ ლაპარაკი მთვრალ კაცთან და გიგრძვნიათ, რომ მის პირიდამ ამოდის ღვინის სუნი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ძალიან ამოისუნთქავს ხოლმე. აი ასე, ღვინისაგან თუ სხვა საჭმელ-სასმელისაგან ამოდიან ამოსუნთქვის დროს მავნებელი ნივთნი, რომელიც აფუჭებს ოთახის ჰაერს. რასაკვირველია, რაც უფრო ბევრი ხალხია ოთახში და რაც უფრო პატარაა ეს უკანასკნელი, მით უფრო ბლომად გროვდება ეს მავნებელი ნივთები და მით უფრო ფუჭდება ჰაერი. ახალის ჰაერიდამ უეცრად რომ შეხვიდეთ ამისთანა ოთახში, მაშინათვე იგრძნობთ ამ მარტივს ჭეშმარიტებას.

მაგრამ საჭიროა ვსთქვა, რომ ეს სუნი ჩნდება სხვა მიზეზისაგანაც. ეს მიზეზია — ოფლი! ყველამ ვიცით, რომ ჩვენ ვოფლიანდებით, და მით უფრო, რაც ძლიერ ვმუშაობთ; ყველამ ვიცით კიდევ, რომ ოფლს ცუდი სუნი აქვს. ეს ცუდი სუნი იმის ბრალია, რომ კაცის კანიდამ ისე, როგორც პირიდამ ამოსუნთქვის დროს, ამოდიან ბევრი მავნებელი ნივთნი, სრულებით უვარგისნი ჩვენის სხეულისათვის. ეს მავნებელი ნივთნი სითბოში და სინოტიობაში ლპებიან ძლიერ მალე და ავრცელებენ ცუდ სუნს, როგორც ყოველიფერი დამპალი: მაგალითებრ, ხორცი, თევზი, თუ გაფუჭებული კვერცხი. აი ამ მიზეზისაგამო ფეხის ოფლს აქვს ძლიერ ცუდი სუნი. ის წამხდარნი ნივთნი, რომელნიც გამოდიან ფეხის კანიდამ, იგუბება იქ მთელი დღე, დილიდამ საღამომდისა, რადგანაც ფეხს საცმელისაგამო დახშული აქვს ჰაერი. რადგანაც ფეხები თბილადაც არიან და ნოტიოთაც, ეს ოფლი ძლიერ მალე ლპება და ხდება. ახლა ადვილად წარმოიდგენს კაცი, თუ რა მავნებელი რამ დააქვს კაცს ფეხებზე, ნამეტნავად მაშინ, როცა ბევრს დადის.

სხვა და სხვა მიზეზებთა შორის, რომელნიც აფუჭებენ ჰაერს, არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს სინოტიესაც.

ნოტიობა მარტო მით არის მავნებელი, რომ ნოტიო ოთახში ყოველი ნივთი უფრო მალე ლპება, ვინემ სხვაში. ეს იმის ბრალია, რომ ნოტიო ოთახში არ იწმინდება ჰაერი. ჩვენ ოთახებში ნიადაგ მუშაობს ახალი ჰაერი და ამ ნაირათ იწმინდება ჰაერი; ნოტიო კედელში კი ვერ გაატანს ჰაერი და ეს, რასაკვირველია, მავნებელია. მერე, შენიშნულია, რომ ნოტიო ოთახში იშვიათად ოფლიანდება კაცი და ეს, მოგეხსენებათ, სასარგებლო არ არის, რადგანაც ოფლით ჩვენის სხეულიდამ გამოდის მავნებელი ნივთი. როდესაც ოფლი არ გამოდის ტანიდამ, ეს ნივთნი რჩებიან ტანში და მისგანაა, რომ ადამიანი ხდება ავათ.

არიან კიდევ სხვა მრავალი მიზეზები, რომელნიც აუვარგისებენ ჰაერს სადგომში, აი როგორც, მაგალითად, ნამეტანი სითბო, ჭრაქისა და ქონის სანთლის სუნი, სხვა მოხელეობა (მაგალითად ხარაზობა) და სხვანი. ეს მიზეზნი ნიადაგ მოქმედებენ მშვიდობიანობის დროსაც. იმ გარემოებას კი, რომელზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ, უფრო მეტი გავლენა აქვსთ ომიანობის დროს. მაშინ ხალხი ბლომათ შეკრებილია ვიწრო სადგომებში, განსაკუთრებით ზამთარში. საზრდო უფრო ცოტა აქვთ და უფრო ცუდის თვისებისა; ვერ სჭამენ, ვერ სძინენ საკმაოდ და თავის დროზე; ჯაფა, შრომა და თან მწუხარება კი გამოუთქმელათაა აქვთ. ვერც ტანის სიწმინდეს უგდებს კარგად ყურს კაცი ომიანობის დროს, საცვალი არ იცვლება ხშირად მთელის კვირაობით. რასაკვირველია, ამ მიზეზებს, რომელნიც ომიანობას თან მოსდევენ, ემატებათ სხვა მიზეზებიც, რომელნიც ჰბადებენ სნეულებას მშვიდობიანობის დროსაც და უფრო აძნელებენ, უმისოთაც ძნელს და მავნებელ გარემოებას ომიანობის დროისას. ამას კიდევ რომ დაუმატოთ ხალხისა და მასთანავე მყოფის ცხენების ნეხვის სიმყრალე და დახოცილთა მხედართ ლეშების საზარელი სუნი, მაშინ ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა მომაკვდინებელი ჰაერი უნდა იყვეს ბრძოლის ველზე.

რაში მდგომარეობს ზედმოქმედება ცუდის ჰაერისა კაცის ჯანმრთელობაზე?

საქმე იმაშია, რომ საოფლე, როგორც სხვა რამე გადამდები სახადი, წარმოდგება პატარა სხეულთაგან (ТѢЛЬЦА), რომელნიც ჩნდებიან კაცის ტანში, და რომელთა დანახვა შეიძლება მხოლოდ გამადიდებელის სარკით (მიკროსკოპით). ეს სხეულაკნი საშინლათ მრავლდებიან სისხლში, ასე რომ ერთისაგან იბადება მთელი მილიონი. განსაკუთრებით მრავლდებიან იგინი, სადაც სიბინძურე, ნოტიობა და დამპალი რამეა.

რადგანც ყველა ეს გარემოებანი თითქმის აუცილებელი არიან ომიანობის დროს, ადვილათ გასაგებია თუ რა მიზეზი მოსდევს ომს ყოველნაირის სახადის დასაბადებლათ და გასაძლიერებლად.

ყოფილა მაგალითი, რომ ეს სახადი გამოჩენილა ხომალდზე, კაი ხანის შემდეგ, რაც იგი გასულა ზღვაში. ხალხი კარგა მუღთვი ყოფილა როცა ხომალდში ჩამსხდარა და მაშასადამე შეუძლებელია სხვისაგან ვისგანმე გადაჰსდებოდათ. მაშასადამე სნეულობა უნდა დაბადებულიყო თვითონ ხომალდზევე.

ამ ნაირათ ჩვენ ეხლა ვიცით, რისგამო უფრო ჩნდება სახადი ომიანობის დროს, რა ჰბადავს მას მშვიდობიანობის დროს და რისგამო ხდება მის მსხვერპლად უფრო ვიწრო და ნოტიო სადგომში მცხოვრები ხალხი.

ილია ბახტაძე.

(შემდეგი იქნება)

---

## საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი.

ჩვენ მკითხველს ყოველთვის თვალწინ უნდა ჰქონდეს, რომ ძველს თქმულებაში ნამდვილი შემთხვევა და ზღაპრული ამბავი ერთმანეთში არეულია. ამ აზრს ცხადად ჰმოწმობს ის ფაქტები, რომელნიც საქართველოს ისტორიის პირველ-დაწყებაში გამოვიკვლიეთ. ამ აზრსვე ამტკიცებს ქართლის-ცხოვრების სურათი ალექსანდრე მაკედონელისა და თვით ფარნავაზ მეფისა.—არ არის თითქმის არც ერთი ტომი აზიაში, რომ ალექსანდრეს ანუ ისკანდერს არ იხსენიებდეს თავის მატიანეში. ქართლის ცხოვრების სიტყვით, მთელი კავკასიის სამხრე—მხარეები დაიპყრა თვით ალექსანდრემ, თუმცა ამ საგანზე არც კვინტო-კურცი, არც არრიანი სრულებით არას ამბობენ [1]. საიდამ და როგორ მიუთვისებიათ ქართველებს ეს თქმულება, ჩვენ არ ვიცით. უეჭველია მხოლოდ, რომ ჩვენ ტომში ის ძველადვე გავრცელებული. მეექვსე საუკ. იოანე ზედაზნელი შიო მღვიმელის ცხოვრებაში ალექსანდრეს ყოფნას საქართველოში დარწმუნებით იტყვის [2]. ამასვე ამბობენ, ვითომც ალექსანდრეს

[1] Dubois, Voyage, II, 31.

[2] Hist de la Géor. I 33 n 6.

მთელი ხმელეთი დაეპყრას ქართველების შემწეობით. მეთორმეტე საუკ. დავით აღმაშენებლის ბიოგრაფი ჩამოსთვლის სხვა და სხვა მხარეს, რომელიც მაკედონელს დაუპყრია და დასასრულ ამბობს: „მან მოვლო ყოველი ქვეყანა და ჰქმნა რა იგი ქმნა და ქართველთა სპითა ვერცარა ალექსანდრე იქმოდა კარგსა“ [1]. ალექსანდრეს ცხოვრება, იმისი მოღვაწეობა, ყოველივე იმისი ფეხის გადადგმა დაწვრილებით არის გამოკვლეული, და თუმცა ჩვენ მხარეში ის არ ყოფილა, მაგრამ შემდეგი ფაქტებიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. ალექსანდრემ დაიმონავა მეომარნი ტომნი, რომელნიც კასპიის ზღვის სამხრეთად ცხოვრობდნენ მთებში და აქ გასჭრა გზები, რომლითაც უნდოდა დაეკავშირებინა ერთი მეორესთან საშუალო აზიის აღმოსავლეთი და დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი [2]. მცირე—აზიაში ალექსანდრემ გავლო თავრის მთა, დაიპყრა სხვათა შორის კილიკია და შევიდა კილიკიის ქალაქში ტარსში [3]; დაიპყრა აგრეთვე ბერძნების კოლონია მილეტი, რომელსაც ეპყრა შავის ზღვის პირად გაშენებული კოლონიები [4]. ალექსანდრემ გაგზავნა, სტრაბონის სიტყვით, თავისი მხედართ უფროსი მემნონი ისპირატის ოქროს მადნის დასაჭერად. ისპირატად ჰხადიან ჭოროხის ხეობის ისპირს, სადაც აქამომდე სხვა და სხვა მადნები თურმე იპოვება [5]. გარდა ამისა, კავკასიის საზღვრად კასპიის ზღვაზე იყო განსაკუთრებით მიქცეული ალექსანდრეს ყურადღება. იმ დროს ფიქრობდნენ, ვითომც კასპიის ზღვა შეადგენდა ჩრდილოოკეანის ნაწილს და ალექსანდრეს ჰსურდა გამოეკვლია იმისი ნაპირები და საგაჭრო გზები გაეხსნა იმის მოსაზღვრე ტომებში. იმან გაიჩინა კასპიის ზღვაზე ფლოტი, რომელსაც უნდა შეეტყო დაკავშირებულია თუ არა კასპიის ზღვა ოკეანთან შავის ზღვის შემწეობით და ანუ სხვა ზღვების შუამავლობით ინდოეთთან. ამ გვარად მოიყვანეს ცნობაში ჯერ კასპიის ზღვის სამხრეთი ნაპირები, შემდეგ აღმოსავლეთი კიდეები იაქსარტის მდინარემდე, მასუკან დასავლეთი ნაპირები ალბანიამდე,

[1] ქართლის ცხოვ. I გვ 260.

[2] Шлоссера, Всемірная Исторія, 1861, II, 344—345

[3] V. S - Mart ,Hist. des découv géogr. II, p 343

[4] Ibid. II, 340.

[5] S - Mart. Mém sur l' Arm., I, 69.

ანუ დერბენტამდე, რომლის დაფუძნებასაც ზოგნი ალექსანდრეს მიაწერენ და თვით ადგილობრივი თქმულება დერბენტის ძველს ზღუდეს აქამომდე ალექსანდრეს სახელს უწოდს [1].

შემდეგ ამისა შესაძლებელია სომხეთისა და საქართველოს დაჭერა ალექსანდრეს ჯარისაგან და არა თვით ალექსანდრესაგან. ამის დასამტკიცებლად ბროსსე უჩვენებს ფრანციზულის ქართლის-ცხოვრების შენიშვნაში სომხურს ენაზე ბერძნულისა და ლათინურის წყაროებიდამ შედგენილს ალექსანდრეს ცხოვრებას, რომელიც ვენეციაში გამოუციათ 1842 წელს. ამ წიგნში ალექსანდრე სწერს თავის დედას ოლიმპიადას: ...., აქედამ ჩვენ გავემგზავრენით და მივადექით კლდე ქვაბებს, სადაც მე გამოვაჭრევინე სახსოვრად როგორათაც ჩემი სახელი და სახელები ჩემგან დამონავებულის ბესსისა, არივარდანის და მაზაკის მეფეებისა , აგრეთვე სახელები მეფეებისა მარსთა , სომეხთა , იბერთა და ყოველთა სპარსთა, რომელთაც დიდი დარიოსი ბრძანებლობდა [2]. სომხეთის დაჭერა ალექსანდრესაგან სომხის მატიანეს სიტყვით უეჭველი საქმეა. იმის თქმით სომხის მეფე ვაჰე, ძე ვანისა, უკანასკნელი ჰაოსის სახლის წევრი, მოიკლა, როდესაც ის ალექსანდრეს ებრძოდა დ ალექსანდრემ თავის მოადგილედ სომხეთში დანიშნა სპარსი მითრინეზი [3]. ჩვენ ვიცით, რომ ალექსანდრე ყველა იმისგან დამონავებულს მხარეებში თავის მოადგილეებს ჰნიშნავდა [4]. — მაშასადამე სომხეთის მატიანეს თქმულება, რომლისაც ჩვენ აქ ვუჩვენებთ, სიმართლეზე ახლოა..... რაც ალექსანდრესაგან სომხეთს შეემთხვა, იგივე უნდა შემთხვევიყო თვით საქართველოს. ამაში ჩვენ ეჭვი არა გვაქვს: ჩვენ მხოლოდ ქართლის-ცხოვრების აზრი ეჭვ ქვეშა გვყავს. აზონი მოგვაგონებს იმ იაზონს, რომელიც ზღაპრულს დროებში არგონავტების ხომალდით კოლხიდაში შემოსულა. ამითი ჩვენ ის არ გვინდა ვთქვათ, რომ ალექსანდრეს არა ჰყოლიყო თავისი მოადგილე საქართველოში, როგორაც სომხეთში, როგორც სხვაგან. ამას დავურთავთ აქ, რომ აზონ ერქვა იმას თუ არა, ეს სულ ერთია. თვით იმის მოქმედებაში, როგორც ამას ქართლის-ცხოვრება გვიამბობს, ისტორიულ წინააღმდეგობას ჩვენ არა ვხედავთ. აზონის პატრიკიობა და ასი ათასის ჯარის მიცემა იმისთვის ალექსანდრესაგან კი ცრუ-თქმულებაა: პატრიკიობა ჯერ არ იყო: ეს მოხელეობა ეკუთვნის რომ.ს იმპერიის უკანასკნელს დროებს; ის შემოდის კონსტანტინე იმპერატორის დროს მე-IV საუკუნის დამდეგს ქრისტეს შობის შემდეგ [1]. და თვით ჩვენში პირველად პატრიკად იხსენიება მთავარი სტეფანოსი [2]. იყვნენ თუ არა ალექსანდრეს სამსახურში რომაელნი, ჩვენ არ ვიცით. ასი ათასის ჯარის მიცემა აზონისთვის ალექსანდრეს არ შეეძლო მაშინ, როდესაც თვითონაც სპარსეთთან საომრად საბერძნეთიდამ გამოვიდა 34 ათასის ქვეითის ჯარით და 4 ათასის ცხენოსნის მხედრობით[3].

თვით ფარნავაზ მეფეზე ჩვენ არ შეგვიძლიან დაჭეშმარიტებით ვთქვათ, ნამდვილი ისტორიული პირია თუ არა. ჩვენ ამაზე გარდა ქართლის-ცხოვრებისა სხვა დასამტკიცებელი საბუთი არა გვაქვს, თუმცა ჩვენ ჩვენის მხრით არ ვეჭვნეულობთ იმის სინამდვილეზე. ფარნავაზად სახელ-წოდებულნი პირნი იხსენებიან როგორათაც ბერძნულს მატიანეში [4], აგრეთვე სომხის ისტორიაში. ეს უკანასკნელი ჰაოსიანთ დინასტიის მეფეების რიცხვში უჩვენებს ორს ფარნავაზს: პირველი მეფობდა მე-VII საუკ., მეორე მე-V საუკ. გასულს ქრის-

---

[1] Montesqieu, Esprit des Iois 1860, p. 283—297. Исторія Грузіи, кн. Баратова, тетрадь первая. 1865 г., 22—23.

[2] Hist. de la Géor I, 35 note 6. გარდა ამისა მარა-ბას კატინა მოგვითხრობს, ვითომც დარიოსის საცრაპ..ს მიტრიდატის (მირდატის) შთამომავალნი გუგარაცნი ალექსანდრეს დაედგინოს მმართველებად ნაბუქოდონოსორისაგან იმ დატყვევებულთა ებერიაში, რომელნიც შავის ზღვის პირად სახლობდნენ. La nglois, Collect , I,49—56.

[3] S—Mart. Mém. sur l' Arm I,285—286.

[4] Шлоссера Всемірн. Исторія, II, 348.

---

[1] Hist de la Géor. I, 35 n. 6. Littré, Dictionnaire de la langue française, p. 1008.

[2] Hist de la Géor. I. სტეფანოსს პატრიკად მოიხსენიებს წარწერა ჯვარის მონასტრისა მცხეთის პირის-პირ. Barthol , Lettres numism., 48, planche III.—ეს შემთხვევა გვარწმუნებს, რომ ჩვენი მატიანე ალექსანდრე მაკედონელზე უნდა იყოს შედგენილი ან სტეფანოსის დროს, ან შემდეგ, როდესაც პატრიკობის ხმარება საქართველოში თითქმის ჩვეულებად შემოდის.

[3] Исторія умст. разв. Европы, I.146

[4] Plutarque, Vie des hommes illusfes. Paris, 1858, IV, 438, 442, 480.

ტეს წინად [1]. ჩვენ ვეჭვნეულობთ საქართველოს ფარნავაზისაგან შემოტანილს წეს-დებაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, როგორც სამოქალაქო და სამხედრო წყობილება, როგორც სარწმუნოების რიგი, თვით კერპი არმაზი ძველადვე უნდა იყვნენ დამყარებულნი ჩვენ ქვეყანაში. ასეა ყველა ტომის ისტორიაში, რომ ერთს დროს და ერთს რომელსამე ზღაპრულს თუ ისტორიულ პირს ხალხის თქმულება მიაწერს სხვა და სხვა დროს მიღებულს მოქმედებას, სხვა და სხვა პირთ მოღვაწეობას. მოვიგონოთ ქართული მხედრული: ქართლის-ცხოვრების თქმით მხედრული შემოღებულია ფარნავაზისაგან, თუმცა ჩვენ ზემოდ წარმოვთქვით ჩვენი აზრი, რომ ის ფარნავაზზე ბევრით გვიან შემოდის ხმარებაში. განსაკუთრებითი ყურადღებაა ახალ მეცნიერთაგან მიქცეული ფარნავაზის ცხოვრებაში მოხსენებულს დიღმის კლდე-ქვაბში ნაპოვნს ხვასტაგზე. ფარნავაზ ასე შეუთვლის ქუჯს: „და არს ჩემთანა ხვასტაგი დიდ-ძალი, ვიხმაროთ ხვასტაგი იგი ორთავე.“ ქუჯი უპასუხებს: „ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა და ხვასტაგებითა შენითა განგიმრავლე სპანი შენნი[2].“ სომხურს ქრონიკაში, რომელიც, როგორც გვითქვამს, ქართლის-ცხოვრებიდამ არის ძველადვე გამოწერილი, ნათქვამია: „არის ჩემ-თანა დიდძალი ვერძი... ვერძითა შენითა განვამრავლოთ სპანი“ [3]. ევროპიელნი ნუმმიზატნი, რომელნიც ძველის ქართულის მანეთების განხილვაში შესულან, ამტკიცებენ, ვითომც ხვასტაგად იგულისხმებოდა ვერცხლის ფული [4]. ვითომც ახლაც მთიულნი ქართველნი ხვასტაგად ფულს უწოდებენ. საქართველოში დროითი დრომდე ჩვენ ვპოულობთ სხვა-და სხვა გვარ მანეთებს: იმათში უძველესია ათინაში მოჭრილი მანეთები, რომელთაც ეწოდება დარიქი, დრაქმა და თეთრი დრაქმა; ვპოულობთ აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელის მანეთებს. უმრავლესი ძველ მანეთებში არის პატარა ვერცხლის ფული, რომელსაც კოლხიდის მანეთს უწოდებენ: ერთს იმის მხარეზეა გამოჭრილი დედაკაცის თავი ეგვიპტურის თავ-სახურით, მეორეზეა ხარის თავი. წარწერა იმას აქვს ბერძნულად: მო-მოსხოსი (?) სხვა მანეთების წარწერა არის: დიოსკურია, კოლხიდა... ამტკიცებენ, რომ ფარნავაზის დროს და წინათაც საქართველოს თავისი მანეთები არა ჰქონია, რომ აქ იხმარებოდა ბერძნული მანეთები, რომელნიც შავის ზღვის პირზე მოფენილს კოლონიებში იჭედებოდნენ. ამ მანათებთაგანი თურმე იყო ფარნავაზის ხვასტაგი [1].

ღირს საცნობელი ფარნავაზის ცხოვრებაში საგანია საქართველოს დაყოფა საერისთავოებად, რომელიც, ქართლის-ცხოვრების თქმით, იყო ცხრა და ვახუშტის შემოწმებით ათი [2]. ამ შემთხვევაში ქართლის-ცხოვრება სრულებით ეთანხმება ჩვენის ტომის გეოგრაფიულს და ეთნოგრაფიულს დანაწილებას. ამ ბუნებითს თვისებაზე იყო შემდეგშიაც დაარსებული საქართველოს პოლიტიკური და შინაგანი დაყოფა... შემდეგ, როგორც ამას თავის ადგილს ვუჩვენებთ, საერისთავოები უფრო და უფრო დამყარდა, რიცხვი იმათი გამრავლდა. პირველ ერისთავად ანუ სპასპეტად ყოველთვის იყო ქართლის-ერისთავი, რომელიც განაგებდა მგრისის საზღვარს აქეთ, ესე იგი „ტაშის-კარისა, ფარავანისა და ლიხის მთას შვევით არაგვ-თვილისამდე [1]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველადვე უნდა იყოს მთელი საქართველო დაყოფილი ოთხ სადროშოდ, რომელსაც ვახუშტი მოიხსენებს თავის გეოგრაფიაში. იმის სიტყვით „წინა მბრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხის-ჯვარელნი და ახალ-ციხელნი, და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი და სომხითის

---

[1] Hist. de la Géor. I, 37 n. I. Mém sur l' Arm. I, 408. ლანგლუა ფიქრობს, რომ ფსევდო-აგათანგისაგან ხსენებული ფარნავაზი, [რომელიც ნაბუქოდონოსორს დაემორჩილათ, უნდა იყოს ქართველების ფარნავაზი. Collect., I, 198.

[2] ქართლის-ცხოვრება, I გვ. 30.

[3] Chronique armén. Addit. et Eclaircis, 1851 p. 8.

[4] ამ აზრს ჰმოწმობს როგორც ქართლის-ცხოვრება (ქართლის-ცხოვრება I, 48), აგრეთვე ახალი არხეოლოგიური გამოკვლევა. რადგანაც სულ ძველად ალებ-მიცემობაში ფულის მაგიერ იხმარებოდა ყველგან საქონელი; ამისთვის შემდეგ ფულის შემოღების ამ უგანასკნელს დაერქვა pecunia Diction. des antiq. qrecques et romaines, 454—455. იხილე აგრეთვე ლათინურ ენაზე «ბიბლიაში» Liber Genesis XXIII, 9, 13.

[2] Brosset, Revue de numismatique géorgienne. Spb. 1847, 15—16. Lanqlois, Essai de classitication des suites monét de la Géorgie, 1860 11—13. Mél. Asiat., IV, livr. 2, 160—161.

[3] Hist de la Geor I, 41 n 2.

[1] Hist. de la Geor I, 42. ვახუშტის გეოგრაფ. აღწერა საქართვ., 276.

რომელნი ეპყრათ. ხოლო მემარჯვნე მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ლიხთ იქითი აფხაზ-ჯიქითურთ. ხოლო მემარცხნეთ მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი. ხოლო მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნენ მეფესა. გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხვა-რიგ მიიყვანიან, ვითარ ამჟამინის მეფე ანუ სპასალარი [2]." იმ დროს, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, ქართლის-ცხოვრების თქმით, ქართველებად იწოდებიან აწინდელნი მესხნი, ქართლელნი და კახელნი. იმერეთის სახელი ჯერ არ არის ხმარებაში. სიტყვა ლიხთ-იმერი, ლიხთ-ამერი, ანუ იმერნი და ამერნი პირველად იხმარება მე-XII საუკ. გიორგი მეფის დროს [3]. ისინი იწოდებიან ხან ეგრისელებად, ხან მეგრელებად. მესხი თუმცა იხსენიება, მაგრამ ჯერ ისიც საზოგადოდ არ იხმარება [4]. ლაზნი ანუ ჭანნი ამ სახელითვე არიან ძველადვე ცნობილნი; ტრაპიზონი, ქართლის-ცხოვრების თქმით, იყო დასახლებული მეგრელთაგან, ესე იგი აწინდელთა ჭანთაგან, რომელნიც მეგრელნივე არიან [5]. სვანეთი სვანეთადვე იხსენიება. სვანეთი შეადგენდა სამფლობელოს ეგრისის მთავრისას. ანდრია მოციქულის დროს აქ მთავრობდა დედა-კაცი [6]. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ახლანდელი ქართლი ძველ დროს იწოდება შიდა-ქართლად, შიდა-ქალაქად, ზედასოფლად. შემდეგ იხმარება: ზემო-ქვეყანა, ქვემო-ქვეყანა. პირველი ჰნიშნავდა მთელ ქართლს, რომელიც ბოლოს ზემო-ქართლად და ქვემო-ქართლად დაიყო; მეორე ჰნიშნავდა იმერეთს სამეგრელოითურთ [7].—ფარნავაზის დროს მოხსენებულნი „ოთხნი ციხენი, რომელნიც მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა," როგორც ბროსსეს საფუძვლიანად შეუნიშნავს, არიან ოთხნი საქართველოს შესავალნი ხეობანი [8], რომელთაც თვით სტრაბონი აგვიწერს და რომელნიც ჩვენ ამას წინად ვრცლად გამოვიკვლიეთ. ქართლის-ცხოვრების თქმულება, ვითომც—ქართული აზნაური წარმომდგარიყოს აზონის სახელისაგან, ცრუ-თქმულებაა. ახლა გამოკვლეულია, რომ ამ სიტყვის ნამდვილი ფესვი არის სომხური აზნივ-განთქმული, განვითარებული, აზნოვაკან-კეთილ შობილი [1]. ამისთვისაც სიტყვა აზნაური თვით ქართულს სამღთო-წერილს ენაზე ჰნიშნავს თავისუფალს [2], როგორც სომხურს ენაზე აზატი [3].

[1] იქვე, 34.
[2] Hist. de la Géor. I, 388.
[3] Ibid. 56, 59, 61, 69, 74, 264.
[4] Ibid 107, 264, 307.
[5] Ibid. 40, 44, 61, 183.
[6] Ibid., 42, 64, 65, 71. 204, 248, 301, 311 n. 5.
[7] Ibid., 34 n. 5.

[1] S–Mart., Mém. sur l' Arm. II, 200 n. 1. Hist. de la Céor. II, Introd. et tables. XXIV.
[2] ეპისტ. კოლოს. III, 8.
[3] Исторія Арменіи, 313.

---

## სასამართლოს მატიანე

### ზასულიჩის ქალის საქმე

(სიტყვა ზასულიჩის ვექილის ალექსანდროვისა)

(შემდეგი *)

ყოველისფერი, რაც შეიტყო ზასულიჩმა, უფრო ვრცლად და დაწვრილებით შეიტყო და ამასთანვე შეტყობილი საბუთიანი და ნამდვილი იყო. მას შემდეგ მძიმე იჭვნეულებანი მოესპნენ და მათ მაგიერ წარმოუდგა უფრო მძიმე ჭეშმარიტება, რომელსაც არასფერი ეჭვი აღარ მოჰსდევდა. ბედის-წერის კითხვა გამოეხატა თვალწინ მთელის თავისის მოუსვენარის უჯიათობითა. თავს ვინ გამოიდებს უმწეო კატორღელის შეგინებულის ღირსებისათვის? ვინ ჩაჰმოურეცხს, ვინ და როგორ ჩამოაცლის იმ სირცხვილს, რომელიც სამუდამოდ განუქრობელის ტკივილით მოაგონდება უბედურსა? გულის სიმტკიცით აიტანს დასჯილი კატორღის ტანჯვასა, იგი დაჰსჯერდება თავისის დანაშაულობის გადახდევინებას, იქნება ამ გადახდევინების სიმართლეც ჰსცნოს და აღიაროს, იქნება მოვიდეს ის დროც, როცა სახელმწიფო ტახტის სიმაღლიდამ მოწყალებაც მიენიჭოს და უთხრან: „შენ შენის ბრალის სამაგიერო გადაგიხდია; შემოვედ ისევ იმ საზოგადოებაში, რომლიდამაც განდევნილი ხარ; შემოვედ და იქმენ ისევ მამულის-შვილად." ხოლო ვინ და როგორ აღმოფხვრის მის გულიდამ ხსოვნას სირცხვილისას, შეგინებულის ღირსებისას; ვინ და როგორ ჩაჰმორეცხს იმ ლაქას, რომელიც სამუდამოდ დაეჩნევა მის სიცოცხ-

*) „ივერია" №№ 15, 16, 17, 18. 1878 წ.

ლეს და დარჩება მის ხსოვნაში? დასასრულ, სად არის თავდები, რომ ამისთანა სამარცხვინო საქმე ხელ მეორედ არ მოხდეს? ბევრი ამხანაგი უბედურებისა ჰყავს ბოგოლიუბოვსა,—ნუ თუ იმათაც იმ შიშს ქვეშ უნდა იცხოვრონ, რომ დღეს თუ ხვალე ჩვენც იმ დღეს მოგვაყენებენ, რაც დღე მიაყენეს ბოგოლიუბოვსაო? თუ კანონთმდებლებმა დაადგინეს ჩამორთმევა ღირსებისა და ხარისხისა, მაშ რატომ ფსიხოლოღნი და მორალისტები კი არ მოვლენ და არ გვაჩვენებენ გზას, თუ როგორ უნდა წაერთვას ღირსება-ჩამორთმეულს მისი ზნეობითი თვისება, მისი კაცობრიული ბუნება, მისის სულის თვისება; რატომ არ მოვლენ და არ გვაჩვენებენ გზას, რომ კატორღელი გადიქცეს პირუტყვად, რომელიც ჰგრძნობს მხოლოდ ხორცის ტკივილს და არ იცის რა არის ტანჯვა სულისა?

ამას ჰფიქრობდა, ამას იმოდენად არა ჰფიქრობდა, რამოდენადაც ბუნებითად ჰგრძნობდა ვერა ზასულიჩი. მე მისის აზრით გელაპარაკებით, მე გელაპარაკებით თითქმის მისის სიტყვებით. შესაძლოა რომ მისთა ფიქრთა შორის, მისთა გულის-თქმათა შორის, მისთა კითხვათა შორის ბევრი რამ იყოს ატაცებული, ბევრი რამ იყოს ტკივნეულობით-წამატებული. შესაძლებელია, რომ მეკანონე აქ გზას გაიგნებდა და რომელსამე ჯეროვანს მუხლს კანონისას წარმოადგენდა და მით გაამართლებდა მას, რაც ბოგოლიუბოვს შეამთხვიეს. სხვა რამ, თორემ ჩვენში კანონს კი ადვილად იპოვნიან, როცა მის პოვნა უნდათ. შესაძლოა, გამოცდილმა წესის-მცველმა დაამტკიცოს, რომ სხვაფრივ მოქცევა ბოგოლიუბოვთან შეუძლებელი იყო, რომ თუ არ ისე, წესიერება მოისპობა. შესაძლოა „წესის მცველს კი არა, უბრალო მოსაქმე კაცსაც ეთქვა ზასულიჩისათვის სრულის გულდაჯერებით, რომ გონიერს რჩევას აძლევს: ეჰ, ამოიღეთ გულიდამ, ვერა ივანოვნავ, ეგ საქმე, თქვენ ხომ არ გაუწკეპლიხართ, რა გინდათ?“ ხოლო ვერც მეკანონე, ვერც მოსაქმე კაცი ვერ აუხსნიდა ზასულიჩს მღელვარე ფიქრებს, ვერ დაუამებდა გულის ტკივილსა. არ უნდა დავიწყებულ იქმნას, რომ ვერა ზასულიჩი მეტად ფიცხის ბუნებისაა, მეტად მგრძნობიარეა; არ უნდა დავიწყებულ იქმნას, რომ მას, თითქმის ჯერ კიდევ ბავშვს, შეჰსწამეს სახელმწიფო დანაშაულობა; თუმცა ეს შეწამება არ გამართლდა მაგრამ მის გამო ორი წელიწადი განმარტოებით პყრობილება გამოიარა, მას შემდეგ უბინაოდ ახეტეს აქეთ და იქით და ყოველ ამან დასძალა მისი ბუნება; სამუდამოდ ჩაუნერგა ხსოვნა საპოლიტიკო ტუსაღის ტანჯვისა, დააყენა იმ გზაზედ, და იმ წრეში, სადაც მრავალი მიზეზია ტანჯვისათვის, სულის აღშფოთებისათვის და სადაც მეტად მცირე ადგილი აქვს საყოველდღეო სულდაბლობის საბუთს და რჩევას.

მეგობრებთან თუ ნაცნობებთან საუბარის დროს, ანუ მარტოდ ყოფნის ჟამს, დღისით, თუ ღამით, საქმობაში, თუ უსაქმობაში, ზასულიჩმა ვერ განიშორა ფიქრი ბოგოლიუბოვზედ.—და არსაიდამ არც ერთი გულშემატკივარი შემწეობა, არსაიდამ დამშვიდება სულისა, შემდეგის კითხვით ამღვრეულისა: ვინ გამოესარჩლება შეგინებულს და შერცხვენილს ბოგოლიუბოვსა; ვინ გამოიდებს თავს სხვათა უბედურთათვის, ვინც ბოგოლიუბოვის ყოფაში არიან? ზასულიჩი ელოდდა, რომ ჟურნალ გაზეთობა გამოვა მოსარჩლეთაო; ამისაგან ელოდდა, რომ ფეხზედ წამოაყენებენო იმ საგანს, რომელიც მას აშფოთებდა. საზღვართ მხსოვნელი მწერლობა მდუმარებდა. ზასულიჩი იმედოვნებდა, რომ საზოგადოებრივი ხმა მაინც თავს გამოიდებსო. მაგრამ თბილის ოთახიდამ, მეგობართა შინაურად საუბრის წრიდამ ეგ ხმა გარედ არ გამოვიდა. ბოლოს იმედოვნებდა, რომ მართლ-მსაჯულება ამოიღებს ხმასაო. მართლ მსაჯულება.... არა, იგი გაჩუმებული იყო. ლოდინი ლოდინად დარჩა. მტანჯველნი ფიქრნი კი, სულის აღშფოთება კი ისევ მოქმედებდნენ. ხელახლად და ხელახლად, კიდევ და კიდევ წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ სახე ბოგოლიუბოვისა და მისის გარემოებისა. სულს უხუთავდა არა ჩხარა-ჩხური ბორკილისა, ტვინს უყინავდა არა ბნელი თაღი უსიცოცხლო საპყრობილისა.—მას უპობდნენ გულს სერ-სერად დაჩნეული ნიშნები როზგისა, გულს უბზარავდნენ სამარცხვინო წყლულნი და ცოცხლად დამარხულის ადამიანის ხმა სამარიდამ ამოძახდა:

რაღასა მდუმარებს, ძმანო, გულის-გაბოროტება?
რაღას მდუმარებს სიყვარული?

და ერთბამად, როგორც ელვა, გაურბინა გულში შეცარმა ფიქრმა: „მე ვარ თავ-გამომდები, მე! შედგა, დაჩუმდა ყოველივე ბოგოლიუბოვის თაობაზედ; ხმის ამოღებაა საჭირო და ჩემი გული შეჰსძლებს ამოიძახოს ეგ ხმა; მე ამოვიღებ ხმას და კაცის ყურამდე მივაწვდენ!„

იკისრა ამის ქმნა და ეს იყო პასუხი მისის უეცრად წარმომდგარის ფიქრისა. მას შემდეგ მასზედ თუ ფიქრობდა რა დროს და როგორ შეასრულოს განზრახული, თორემ თვითონ საქმე კი, აღსრულებული 24-ს იანვარს, საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა.

იმ უეცარის ფიქრისა და საქმის აღსრულების შორის გაიარა რამდენმამე დღემ, რამდენმამე კვირამაც. ეს გაუხდა ბრალდებულებას საბუთად, რომ ზასულიჩს დანაშაულობა წინადვე-განზრახულად ჩაეთვალოს. თუ წინად-განზრახულებას მივაწერთ იმას, რომ კაცი მზადებასა, საშუალების არჩევანსა და დროს შერჩევაშია, მაშინ, რასაკვირველია, ბრალდებულება მართალია, მაგრამ განზრახვა ზასულიჩისა, არსებითად და თვისის სათაურით, არ იყო და არც შესაძლოა ყოფილიყო, დამჯდარის გონებით მოსაზრებულ განზრახვად, თუნდა ამაზედ მეტიც დრო გასულიყო განზრახვიდამ მის აღსრულებამდე. განზრახვა მისი უეცარი იყო და წარმოსდგა უეცარის ფიქრისაგამო, რომელმაც სრულად შეიპყრო და დაიმონავა აღტაცებული არსება ზასულიჩისა. განზრახვა, მსგავსი ზასულიჩის განზრახვისა, გაჩენილი აღშფოთებულს გულში, წინად ვერ მოისაზრება, წინად ვერ გაისინჯება. აზრი სწრაფად შეიპყრობს ხოლმე ადამიანს; მის მსჯელობას აღარ ემორჩილება, პირიქით თვის მსჯელობას დაუმონავებს ხოლმე და თვითვე აჰყოლიებს. რაც უნდა შორს იყოს აღსრულება აზრისა, რომელსაც შეუპყრია ადამიანის გული, აღტაცება კაცისა არ გადიცვლება ხოლმე დამჯდარ მსჯელობათ და აღტაცებათ რჩება. ამ ყოფაში აზრს ვერ ასწონს ხოლმე ადამიანი, ვერ განსჯის, არამედ ექვემდებარება, მონებრივ ემორჩილება და აჰყვება ხოლმე. ამ ყოფაში აზრის აგ-კარგიანობას კაცი ყურს არ ათხოვებს ხოლმე, იგი განუსჯელად ემორჩილება და ეთაყვანება. აქ ადამიანი ჰსჯის და მოისაზრებს ხოლმე რა გზით და როგორ მოიყვანოს აღსრულებაში განზრახული, ხოლო ეგ სრულაც არ შეეხება ხოლმე განზრახულს არსებითად. საჭიროა თუ არა განზრახულის აღსრულება—ამაზედ აღარ ფიქრობენ ხოლმე, რაც უნდა ბევრი ხანი იფიქრონ აღსრულების საშუალობაზედ. ვნებითი აღელვება სულისა, რომელშიაც დაიბადება და გამოისახება ხოლმე აზრი, არ მიუშვებს ხოლმე კაცს მსჯელობამდე. ამ სახით, ზეგარდამო შთაგონებული აზრი პოეტისა ზეგარდამო შთაგონებულადვე რჩება, და არა მოგონილად მაშინაც, როცა პოეტი დიდხანს დაფიქრდება ხოლმე რა სიტყვა ვიხმაროთ და რა რითმით შევმოსოთ ჩემი აზრი.

(შემდეგი იქნება.)

---

## სისხლის მოჩვენებაზედ.

(დასასრული *)

### XII

როცა კრისტოვალი დაეცა მე პირველს წუთს რაღაც მესიამოვნა... მე თქვენ არასფერს გიმალავთ... მე ფიქრად ის მომივიდა, რომ ჯავრი ამოვიყარე მეთქი ჩემის წარსულისათვის: ვინ ეხვეწებოდა, რომ, თავისთან ამიყვანა და გარს სისხლი შემომარტყა! ბედს ჩემთვის თითქო სიჭლექით სიკვდილი დაენიშნა და იმან რატომ არ დამანება თავი, რომ ჩემის ბედის წერით მომკვდარვიყავ? ღმერთს უნდოდა, რომ მე საქაოს ხანგრძლივ არ მეცოცხლა, ის რად წავიდა ღვთის განგებულების წინააღმდეგ? რამდენიმე წუთის განმავლობაში მე მართლა მწამდა, რომ მე აღვადგინე გაბრუნდებული სასწორი ამა ქვეყნის ნივთიერებათა შორის. ხოლო ამ უქმმა თავის-მოტყუებამ დიდხანს არ გაჰსტანა. კვნესა, აღმოხდარი მომაკვდავის გულიდამ ისარივით გულს მეცა და შუა განმიპო. მას აქედ ეგ გულის წყლული არ გამთელებია და არც გამიმთელდება ვიდრე თქვენ სიკეთეს არ მიზამთ და ნაჯახის კერძად არ გამხდით...

დავეცი დანა, მაგრამ კარგს ალაგას ვერ მოვახვედრე. საწყალი ყასაბი მთელს 15-ს წუთს წვალობდა; ხელით ბალახსა ჰგლეჯდა, მიწასა ჰღრღნიდა და ფართხალობდა სისხლში. ამას ყველასფერს ჩემის თვალით ვხედავდი და ჭკუიდამ როგორ არ შევიშალე, — ღმერთმან იცის, მიკვირს! ბოლოს ფეხზედ წამოდგა და ხეს მიებჯინა. მე მეგონა მეძახის მეთქი, თუმცა პირში ქაფი მოჰსდგომოდა და ტუჩებს ვერ ანძრევდა.... მე ცოცვით მივედი....როცა მე თავის ფეხებ წინ დამინახა, მაშინ აცახცახ-

*) «ივერია» №№ 14, 15, 16, 17 18. 1878 წ.

და და ისევ დაეცა დადამიწაზედ. რაღა თქმა უნდა, რომ ერთი ჩემი დანახვა იმისათვის სიკვდილი იქნებოდა. მე დავუწყე ვედრება, შემინდე მეთქი და ათასი სულელური სიტყვა სხვაც ვუთხარი... ვაი იმ უბედურს! რა რიგად მინდა, რომ მე იმის ადგილას ვიყო! ამოვიღე ხელთსახოცი და პირიდამ ქაფი მოვწმინდე. მაშინ ჩამჭიდა ხელი. ცხადი იყო, რომ თქმა უნდოდა რისამე და ღონე არ მოჰყვა. მე იმის ტუჩებს ყური დავადე: იმის ხმა მომესმა ვითომ? არ ვიცი. იქნება ჩემმა სინიდისმა გაიხმაურა? იქმნება ჩემის სინიდისის ხმა სულთ მობრძავის ხმად მეჩვენა? ამაზედ სწორეს ვერას მოგახსენებთ, იმიტომ-რომ მეც თვითონ ვერა გამიგია რა. მხოლოდ გონებაში ეს სიტყვები ჩამრჩა: „წადი და შენი თავი გაამხილე წინაშე ადამიანის მართლ-მსაჯულებისა, თორემ მართლ-მსაჯულება ღვთისა დაგსჯის.“

## XIII

მე ხმამაღლა რამდენიმე ლოცვანი ვჰსთქვი და როცა გვამი გაცივდა, შევიდე მხრეზედ და წამოვედი. გათენებამდე ვიარე ქალაქამდე; თან მომდევდნენ ჩემნი მშობელნი: მამა ჩემს მარჯვნივ ეჭირა მკვდარი და დედა ჩემს—მარცხნივ... თქვენ ერთმანეთს გადახედეთ ეხლა, თითქო გებრალებით; თქვენა გგონიათ, რომ ამისთანა ამბავს მარტო გიჟი ილაპარაკებსო. თქვენ რაც გინდათ, ის იფიქრეთ: მე მარტო ამას გთხოვ ამიხსნათ: რამ შემაძლებინა, რომ სამის საათის განმავლობაში მარტო მხარზე მკვდარ გადებულმა ის მანძილი გავიარე ქვევითად, რომელიც თქვენ ძლივს გაიარეთ საათ ნახევარში კარგის ფოშტის ცხენებითა?

ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა, როცა მე ჩემის ბარგით მოვედი თქვენს სახლთან, ბატონო თავ-მჯდომარევ! მე მკვდარი მხრებიდამ გადმოვიღე, კარებ წინ დავდე და დავარაკუნე კარი. დიდხანს ვარაკუნებდი. თქვენს მოსამსახურეებს მაგარი ძილი ჰსცოდნიათ. ბოლოს თქვენ თვითონ გადმოიხედეთ ფანჯრიდამ და ჯერ კიდევ თვალებს იფშვნეტდით რომ დამიძახეთ:

— ეს ვინ პირუტყვია, რომ კარს არაკუნებს, მაშინ როცა ყოველს პატიოსანს კაცს ჰსძინავს?

— პირუტყვი კი არა, ბატონო თავ-მჯდომარევ, მეთქი, მე მოგახსენეთ,—კაცის-მკვლელია, რომელმაც თვისი სხვერპლი მკვდარი თვითვე მოგიტანათ, თვითონ მკვდრის ბრძანებისა შებრ. ინებეთ და ტანთ ჩაიცვით, მხოლოდ ნუ აჩქარდებით, მეთქი. ვინც მოდის და გთხოვთ თავის მოსაკვეთად წამიყვანეთო, იმას ასაჩქარებელი არა აქვს რა, შეუძლიან მოცდა,—მეთქი.

თქვენ ერთი დაიძახეთ და მოაჯახეთ ფანჯარა. თვალის დახამხამების უმალ თქვენს კიბეზედ ფეხის ხმა მომესმა. მე მეგონა, რომ თქვენ მობძანდებით ჩემს დასაჭერად და ოქმის შესადგენად; მეც დავჰსწვდი, უკანასკნელად ვუამბორე უბედურს ქრისტოვალს და დავიწყე ლოდინი. ბოლოს გამოჩნდა, რომ თქვენ იმიტომ ჩამოხვედით კიბეზედ, რომ უფრო მაგრად დაგეკეტნათ შიგნიდამ კარები. ღმერთმა უშველოთ, თქვენის სახლის ახლო მიმავალმა ხალხმა წამავლო ხელი და დამიჭირა....

აი, ბატონებო, ეს არის ჩემი სრული ისტორია. თუ ამის შემდეგაც სიკვდილით არ დამსჯით, მაშინ, არ ვიცი, რითღა უნდა მოგაწონოთ კაცმა თავი.

—

ბრალდებული დაჯდა. ნაფიცნი მსაჯულნი გავიდნენ საბჭობლად და ათის წუთის შემდეგ მათმა უფროსმა, დაიდო რა გულზედ ხელი, ჰსთქვა: «პატიოსნებისა და სინიდისისამებრ, ღვთისა და კაცთა წინაშე ნაფიცნი მსაჯულნი აღიარებენ: „ბრალდებული დამნაშავე არ არის.“

შეიტყო ეს განაჩენი თუ არა, კაცის-მკვლელი წამოდგა ფეხზედ, მკვდარსავით ფერ მიხდილი, თავიდამ ფეხამდე სულ ცახცახებდა. გაჯავრებული მიუბრუნდა მსაჯულებს და ასეთის უკადრისის სიტყვებით იხსენია იგინი, რომ მეტი გზა არ იყო, ხელები შეუკრეს და გიჟების სახლში გაისტუმრეს. იქ მოკვდა ეხლა ხან ის უბედური სიგიჟისაგამო.

ეკ. ღვინიაშვილისა.

---

## გამგეობა

მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა აცხადებს, რომ § 17 ამა ბანკის წესდების ძალით გამგეობაში გაიყიდება საზოგადო ვაჭრობით ქუთაისში მდებარე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ადგილით, რომელიც ეკუთვნის კოლლეჟსკის ასესორს ბესარიონ ანდრიას ძეს ხელთუფლიშვილს.

# განცხადება

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

გამგეობა ზემოხსენებულის ბანკისა უმაღლესად დამტკიცებულის ამა ბანკის წესდების § 16 ძალითა ამით აცხადებს, რომ 22-ს თიბათვეს 1878 წ., შუადღისას, ქალაქს ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზედ, კორღანოვის სახლში ისყიდება საჯაროსვაჭრობით უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა პირთა, რადგანაც მათ არ შემოუტანიათ ბანკიდამ აღებულის ვალის გადასახდელად ვადის ფული, დაწესებული წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მუხლათა.

სულხანოვები, გაბრიელ და მიხაილ—ოთხი დუქანი ყოველგვარის შენობებით, ეზოთი და მიწით, ზომით 36 ოთხ-კუთხე საჟ., ქ. ტფილისს, 2 განყოფილებას 14 ნაწილში. ვალის თავნია 5,281 მან., შემოსატანია ბანკში 342 მან. და 18 კაპ., სულ 5,623 მან. და 18 კაპ.

ბურდულოვისა, ალექსანდრა სოლომონის ასული—ორი დუქანი თავლით, ყოველგვარის შენობებით, ეზოთი და მიწით, ზომით 600 ოთხ-კუთხე საჟ., ქ. ტფილისს 2 განყოფილების 11 ნაწილში. ვალის თავნია 2,880 მან და 55 კაპ. შემოსატანია ბანკში 183 მან. 68 კ. სულ 3,064 მან. და 23 კაპ.

სულხანოვისა, მარია ივანეს ასული ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და ბ) ორი სამ-სამ სართულიანი დუქნები, ორი ორ სართულიანი და თერთმეტი თითო სართულიანი ქვითკირის დუქნები. ტფილისს ა) 1 განყოფილების 7 ნაწილში და ბ) 2 განყოფილების 14 ნაწილში, ჩუღურეთში. ვალის თავნია 17,283 მან. და 27 კ. შემოსატანია ბანკში 973 მან. 25 კ. სულ 18,256 მან. 52 კ.

პაველიევი, იაკობ სემენის ძე—ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ორ-სართულიანი სამოსამსახურო სახლი სარდაფით და მიწით, ზომით 72 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისს 1 განყოფილების 5 ნაწილში ნემეცების ქუჩაზე ვალის თავნია 5,811 მ. და 74 კაპ. შემოსატანია 338 მან. და 10 კ., სულ 6,149 მ. და 84 კაპ.

ტერ-ზახაროვისა, მარია კონას ასული—ერთ-სართულიან ქვითკირის სახლი მიწით, ზომით 18 ოთხ-კუთხე საჟ., ტფილისს 2 განყოფილების 13 ნაწილში, ეჩმიაძინის ქუჩაზე. ვალის თავნია 195 მან. 27 კაპ შემოსატანია ბანკში 35 მ. 18 კ. სულ 230 მ. და 55 კაპ.

ბაბოვი, სარქის მარტიროზის ძე—ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწით, ზომით 30 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისს 2 განყოფილების 13 ნაწილში. ვალის თავნია 293 მან. შემოსატანია ბანკში 30 მან. და 34 კაპ. სულ 3,223 მან. და 39 კ.

ბარათოვენი, კნ. იოსებ, გიორგი და კნეინა მარია ივანეს ძენი—მიწები 536 დესეტ. და 1,920 ოთხ-კუთხე საჟ ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში კომარლოს დაჩაზე (პატარა რატევანი), ვალის თავნია 5,976 მან 87 კ. შემოსატანია ბანკში 262 მან. და 48 კ., სულ 6,139 მან. და 35 კაპ.

თარხან მოურავისა, კნეინა მარია ბიძინას ასული—მიწები 545 ოთხ-კუთხე საჟენი. ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის, სათუხარელოს დაჩაზე, ვალის თავნია 6,674 მან. და 10 კაპ. შემოსატანია 291 მან. და 23 კაპ. სულ 6,965 მან და 33 კაპ.

პირადოვი, მიხაილ არტემის ძე—ბაღი ერთ-სართულიანის სახლით, მიწით, წყაროთი და ყოველგვარ კუთვნილებით, ზომით ბაღის მიწა სიგძით 135 საჟ., სიგანით 80 საჟ. ეზო და სახლის მიწა 250 ოთხ-კუთხე საჟ., ტფილისის გუბერნიის და მაზრის, სოფ. თეთრიწყაროში. ვალის თავნია 400 მან. შემოსატანია ბანკში 26 მან. და 10 კაპ. სულ 426 მან და 10 კაპ.

სტეფანოვი, გევორქა პავლეს ძე—ცარიელი მიწა, ზომით 300 ოთხ-კუთხე საჟ. ქ. ტფილისს, 2 განყოფილების 11 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე. ვალის თავნია 1,200 მან. შემოსატანია ბანკში 66 მან. და 88 კაპ., სულ 1,266 მან. და 88 კაპ.

აივაზოვი, არტემა თადეოზის ძე—ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის ფლიგელით და სახლის ქვეშ მიწით, ზომით 413 ოთხ-კუთხე საჟ., ფლიგელის ქვეშ, ზომით 51 ოთხ-კუთხე საჟ. ვალის თავნია 2,000 მან. შემოსატანია 76 მან. და 70 კაპ. სულ 2,076 მან. 70 კაპ.

საყვარელიძისა, მინადორა ზურაბის ასული—მიწები, ზომით 25 დესეტინა და 600 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის, სოფლებ: ზეგაანს, ცოცხნარს, ოდზისში და ზინდისში. ვალის თავნია 500 მან შემოსატანია 37 მან. და 20 კაპ. სულ 537 მანეთი და 20 კაპ.

ანდრონიკოვი, კნ. ზაქარია იასეს ძე—მიწები, ზომით 15,000 დესეტინა ტფილისის გუბერნიის და მაზრის. სოფ. ლომთაგორაში. ვალის თავნია 59,768 მან. და 18 კაპ. შემოსატანია 2,063 მანეთი და 7 კაპ. სულ 61,831 მანეთი 25 კაპეიკი

ჭიჭინაძე, ეგნატე ნიკოლოზის ძე—ხუთი თითო სართულიანი ქვითკირის სახლები მიწით, ზომით 115 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისს 1 განყოფილების 1 ნაწილში, მთაწმინდაში. ვალის თავნია 677 მანეთი და 48 კაპ. შემოსატანია 67 მანეთი 42 კაპეიკი, სულ 739 მანეთი და 55 კაპეიკი.

# ა ნ გ ა რ ი შ ი

## საბუე-ენისლის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა 1877 წლისა.

### 1-ს იანვარს 1877 წელს იყო:

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| წილადი ფული — — — — — — — | 1,245 | 80 |
| ნასესხი შემდგომ აღებული — — — | 1,000 | — |
| წმინდა მოგება — — — — — — | 120 | 95 |
| ს უ ლ | 2,366 | 75 |

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| გასესხებული — — — — — — — | 2,205 | — |
| ნაღდ ფულად — — — — — — | 61 | 75 |
| საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შეტანილი — — — — | 100 | — |
| ს უ ლ | 2,366 | 75 |

### 1877 წელში

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| წილადი ფული — — — — — — — | 667 | 77 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების ანუ ახალი ვადის მიცემის დროს — — — — | 484 | 26 |
| ჯარიმა — — — — — — — — — | 9 | 65 |
| დაბრუნებული სესხები — — — — | 5,607 | — |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 2,321 | 8 |
| სათადარიგო თანხა — — — — — | 21 | 65 |
| ს უ ლ | 9,112 | 16 |

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| წილადი ფული — — — — — — — | 263 | — |
| მოგება 1876 წ. წილადობაზედ — — — | 93 | 80 |
| გასესხებული — — — — — — — — | 7,026 | 50 |
| სარგებელი ვადაზედ წინ გადახდილის ნასესხისა — — — — — — — — | 5 | 41 |
| შემდეგ აღებული ნასესხი — — — | 1,000 | — |
| სამმართველოს ხარჯი — — — — — | 30 | 8 |
| აღებ-მიცემობის გასავალი — — — — | 6 | 17 |
| ს უ ლ | 8,424 | 96 |

### 1-ს იანვარს 1878 წელსა არის:

| | მამ. | კ. |
|---|---|---|
| წილადი ფული — — — — — — — | 1,650 | 57 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 2,321 | 83 |
| სათადარიგო თანხა — — — — — | 21 | 65 |
| წმინდა მოგება — — — — — — | 479 | 40 |
| ს უ ლ | 4,473 | 45 |

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| გასესხებული — — — — — — | 3,624 | 50 |
| დანაშთენი ნაღდ ფულად — — — — | 748 | 95 |
| საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შეტანილი — — — — — — | 100 | — |
| ს უ ლ | 4,473 | 45 |

თავსმჯდომარე რჩევისა: თ. გიორგი ჯორჯაძე.

წევრნი რჩევისანი:
- ივანე დავითაშვილი.
- ნინიკო მჭედლიშვილი.
- ლეგა ხატიაშვილი.
- ლაზარე ნერსესაშვილი.
- სვიმონა ხეჩიაშვილი.

მმართველნი:
- ვანო როსტომოვი.
- მამა დავით ჩახტაუროვი.
- ნიკო კონჭოშვილი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Мая 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.